ხალხის აღწერის და შემოსავლის დავთრები საქართველოში*)

აქამდისინ თითქმის არაფერი ვიცოდით რა იმის შესახებ, რომ საქართველოს სამეფოში ხალხის აღრიცხვა იყო ხოლმე, **) ჩვენ საისტორიო მწერლობაში არა თქმულა რა იმის თაობაზე, რომ საქართველოს მცხოვრებთა ძველი აღწერის დავთრები ეხლაც არსებობენ. თუმცა ქართლის ცხოვრებაში (ზ. ჭიჭინაძეს გამ. გვ. 564) ნათქვამია, რომ მონგოლებმა საქართველოს მკვიდრნი და მათი ქონება აღწერეს, მაგრამ ამ ცნობის გარდა სხვა არაფერია მოყვანილი ზემოხსენებულ მატიანეში. მხოლოდ ვახტანგ მეფის „დასტურლამალი“-ს შესწავლამ დამარწმუნა, რომ საქართველოში ვახტანგის დროს უნდა ყოფილიყო ხალხის აღ-

*) ეს მოხსენება 22 თებერვალს 1901 წ. პეტერბურგის საარქეოლოგიო საზოგადოების აღმოსავლეთის განყოფილების კრებაზედ იყო წაკითხული და რუსულად ამავე საზოგადოების კრებულში „Записки Восточн. отд. Рус. археолог. общества.“ არის დაბეჭდილი.

**) ამის შესახებ უნდა დ. ფურცელაძეს სცოდნოდა, რადგან სხვათა შორის მან ორიოდე ისეთი საბუთი დაბეჭდა (Двор. и грам.) რომელშიაც აღწერაზეა სწორედ ნათქვამი, მაგრამ როდესაც ის თავის გამოცემულ სიგელგუჯრების სინასიტყვაობაში საბუთების მნიშვნელობაზე ლაპარაკობს, კრინტიც არ ირის დაძრული ხალხის აღწერის შესახებ. ალბად ფურცელაძეს, ან დავიწყებია ეს გარემოება, ან ყურადღება არ მიუქცევია. ბ. ხახანაშვილი თავის თხზულებაში „ბატონ-ყმობა საქართველოში“ თუმცა ამბობს, ქართლს 7 წელიწადში ერთხელ ასწერდნენ ხოლმე, მაგრამ, სამწუხაროდ ამ აღწერებს რუსულ „ревизскія сказк'“-ებს უდარებს და რო-

წერის დავთრები: ამ წიგნში ნათქვამია კიდეც როგორ უნდა აწერილიყო ხალხი საქართველოში, ხოლო იმავე წიგნის სხვა და სხვა ადგილას ისეთი სტატისტიკური ცნობების გაფანტული, რომელნიც უეჭველად ხალხის აღრიცხვის დავთრებიდან უნდა იყოს ამოღებული, თვით „დასტურლამალ“-შიაც კი ნათქვამია იმის შესახებ. ამ წიგნის მე 13-ე გვერდზე ვკითხულობთ: „როდესაც ქართლი აღწერილა და ან აღაწერებას, ამ წესით უნდა აღიწერებოდეს, ყაიყულიდან შემოყოლებით თათარსა და მელიქის საულდარის გარდა, სომხითს, ტაშირს, ყაიყულის თრიალეთს და საბარათაშვილოში — ამაზედ საბარათაშვილოს სარდალი წავა, ერთი მდივანი წავა, აღწერს და დავთარს დაიჭერს...“

მაგრამ დიდად შემცდარი იქნება ის, ვინც იფიქრებს, რომ ხალხის აღრიცხვა საქართველოში პირველად ვახტანგ მეფემ შემოიღო. ზემო მოყვანილ ნაწყვეტიდან ჩანს, რომ ამ მეფის წინადაც საქართველოში ხალხი აღწერილა და აღწერის წეს-რიგი უკვე შემუშავებული იყო, ვიდრე ვახტანგ მეფე თავის „დასტურლამალ“ ს შეადგენდა. ვახტანგის ზემო მოყვანილი ცნობა ქართლის აღწერის შესახებ საყურადღებოა მხოლოდ იმ მხრივ, რომ იგი ცხადად გვიჩვენებს, რომ აღწერა

გორც ჩანს ავტორს ჰგონია, რომ ჩვენებურ აღწერასაც ჰქონდა იგივე დანიშნულება, რაც რუსების — **ревиз. сказ.**-ებს. მაგრამ ქართულ აღწერას უფრო ფართო მნიშვნელობა ჰქონდა და თუ საქმე შედარებაზე მივარდა შეიძლება მხოლოდ რუსულ „**писцовыя книг**“-ებს შევადაროთ.

დასასრულ პროფ. ცაგარლის „**Свѣдѣн.**“-ების მე-III-ე წიგნში (გვ. XV, XXV) მოყვანილი აქვს ჩუბინაშვილის შედგენილი კატალოგიდგან ორიოდე ისეთი საბუთების სათაური, რომელნიც სწორედ აღწერის დავთრები არიან, მაგრამ ბ. ცაგარელი სიჩქაროდ შედგენილ სათაურებს შეუცდენიათ და ამიტომ ამ საბუთებს რაღაც „**статистико географическое описаніе**“-ადა სთვლის.

აღწერის შესახებ სწორედ აქვთ მოყვანილი „დასტურლამალი“-დან ცნობები განსვენებულს მ. ბროსსეს (**Hist. de la g. II, livr. 501, Introd. p. CV.**) და ბაქრაძეს (**Сборникъ законовъ грузин. царя Вахтанга, прим. § 199.**)

საქართველოში საყოველთაო იყო და სამეფოს თვითოეულ მხარეს შეეხებოდა: „დასტურლამალ“-ში ნათქვამია, როგორ უნდა აღიწეროს ცალ-ცალკე ზემოქართლი, საციციანო, მუხრანი, ქსნისა და არაგვის საერისთაო. მაგრამ რომ მეფე ვახტანგ მე-VI-დეც ყოფილა ხალხის აღწერა შეიძლება 1689 წელს მეფე ნაზარალისანის (1688—99) საბარათიანოს სარდლისადმი მიცემულ წყალობის წიგნითაც დამტკიცდეს:

„თუმცა საბარათიანოს დროშის (გამგეობის) წეს-რიგი დამტკიცებული იყო, მაგრამ მას არ ასრულებდნენ; ეხლა როდესაც ღვთის წყალობით ბედნიერმა კელმწიფემ (მაჰმა) გვიბოძა ჩვენ მკვიდრი მეფობა ჩვენი, კეთილად ვსცანით და საბარათიანოს დროშა დავაწესეთ და სარდლად დავნიშნეთ თამაზ ორბელიანი... **სარდალმა ყოველ 7 წელიწადში ერთხელ უნდა ეგელა თავისი დროშას ხელქვეითნი აღწერნას და აღიამწერლო გადასახადეანოს ხოლმე...**“ (Пурцеладзе Двор. Грам. 10,11) ეს წყალობის წერილიც გვიჩვენებს, რომ ხალხის აღწერა ნაზარალიხანის წინადაც უნდა ყოფილიყო, რასაკვირველია, თუ შეიძლება ხალხის აღწერაც საბარათიანოს დროშის დამტკიცებულ წეს-რიგად ჩაითვალოს. ამ წერილში უფრო საყურადღებო ის ცნობაა, რომ „სარდალმა ყოველ 7 წელიწადში ერთხელ უნდა ყველა თავის დროშის ხელქვეითნი აღწეროს“.

მკითხველი რომ სრულებით დაეარწმუნოთ, რომ მართლაც მეფე ნაზარალიხანამდეც არსებობდა ხალხის აღწერა, მე მოვიყვან როსტომ მეფის 1656 წელს ნაბოძებ წყალობის წიგნს, რომლითაც მან „ამილახორს (ელისეს) ნება მისცა თავისი კარის მდივან-მწიგნობარის თანადასწრებით აღწერა ყველანი, ვინც მის სადროშოს ეკუთნოდენ (Пурцеладзе. Двор. Грам. 7).

ამ ცნობებმა სრულებით დამარწმუნეს, რომ საქართველოში ყოფილა დროგამოშვებით ხალხის აღწერა. აღწერის დავთრების ძებნაღა იყო მხოლოდ საჭირო,—მით უმეტეს, რომ იოანე ბატონიშვილის წიგნსაცავის კატალოგში, რომელიც პროფ. ცაგარელის „Свѣдѣнія о памят. груз. письм.“-ის მე-III-ე

წიგნში 256-ედ დაბეჭდილია (იხ. გვერდი 218) ოთხი სია: 1) საორბელო, 2). დავთარი ყმებზედ და მამულებზედ, 3) სია ძღვნებისა მეფის სასახლეში მისატანათ"... მე ვიმედოვნებდი, რომ ამ საბუთებში შეიძლებოდა საინტერესო სტატისტიკური ცნობები მეპოვა. როცა პეტერბურგის საჯარო სამკითხველოში ავიღე ეს ხელთნაწერები და გადავსინჯე, დავრწმუნდი, რომ საბუთები უფრო საყურადღებოა, ვიდრე მე მეგონა და ვიდრე პრ. ცაგარლის დაბეჭდილ კატალოგიდანა ჩანდა: ეს საბუთები სწორედ ის ხალხის აღწერის დავთრები იყო, რომელთა პოვნაც მე მინდოდა: ორი აღწერა საბარათიანოს და სომხითის დროშისაა, მესამე სახელმწიფო შემოსავლის დავთარი. რომ მე არ შეეცდი და ეს აღწერის დავთარი მარტო ორბელიანთ არ შეეხება, იქიდანაც ჩანს, რომ ამ საბუთებში სახასო ყმებიც არის აღწერილი, აზნაურშვილისაც და საეკლესიოც. ცხადია, რომ სახასო და საეკლესიო ყმები ორბელიანთ არ ეკუთნოდათ და მათ მეფის ნება დაურთველად აწერა არ შეეძლოთ.

ეს საბუთები მთლად გადავწერე, რომ უფრო უკეთესად შემესწავლა და შემდეგ დასაბეჭდათ მიმეცა. შარშან ზაფხულს ტფილისში ისტორიკოსს ბ. ე. თაყაიშვილისაგან შეეიტყე, რომ იმასაც ხელთა ჰქონია ერთი ამნაირივე საბარათიანოს დროშის აღწერის დავთარი. ბ. თაყაიშვილი, როგორც თითონ მითხრა, ამ დავთრის დაბეჭვდას აპირებდა. სასურველი იყო, რომ ყველა ამ გვარი დავთრები ერთ წიგნად დაბეჭდილიყო და ამიტომ ჩემი პეტერბურგს გადაწერილი საბარათიანოს და სომხითის აღწერის დავთრებიც ბ. თაყაიშვილს გადავეცი, და გადავწყვიტე, რომ ყველა სადროშოების, თუ კერძო ადგილების „აღწერა"-ნი და მორიგი ჯარის ნუსხები, რომელთაც ჩვენამდის მოუღწევიათ, შემეკრიბა. ამ გვარად ჩემის ვარაუდით ის წიგნი, რომელშიაც მხოლოდ ხალხის აღწერის, შემოსავლის და მორიგი ჯარის დავთრები იქნება დაბეჭდილი, 1000 გვერდზე მეტს უნდა შეიცავდეს. აღწერის დავთრების უკვე დაბეჭდილი ნაწილი მე ხელთა მაქვს.

ამ დავთრების შესწავლა ჯერ არ გამითავებია მე, ამიტომ რასაკვირველია, ჩემი მოხსენება, როგორც პირველი ცდა, სრული და დამთავრებული ვერ იქნება, და დამყარებულია მხოლოდ იმ შთაბეჭდილებასა და დასკვნაზე, რომელიც მე შემეძლო გამომეყვანა ამ საბუთების ერთი წლის შესწავლის განმავლობაში.

ჩვენამდის მხოლოდ 9 **შემოსავლის დავთარმა** მოაღწია, ცნობები გვაქვს აგრეთვე იმის შესახებ, რომ 4 ამგვარივე საბუთი ყოფილა. უძველესი შემოსავლის დავთარი, რომელმაც ჩვენამდის მოაღწია, მე-XV საუკუნისაა, საეკლესიო უწყებას ეკუთვნის და სამთავისის საეპისკოპოსოს შემოსავლის დავთარს შეიცავს. ეს საბუთი საქართველოს საეკზარხოსოს მუზეუმში ინახება, ერთი ამ საბუთის ნაწყვეტი ბ. ეორდანიამ თავის ქრონიკების პირველ და მეორე წიგნში დაბეჭდა (I, 214, II, 242). შემდეგ ქრონოლოგიურად მისდევს ბეგრის აწერილობა სამეგრელოს კათოლიკოზისა 1661—1680 (იხ. თაყაიშვილი. საქართ. სიძველენი, I, 57), სახელმწიფო შემოსავლის დავთარი საბარათინოს დროშისა (პეტერ. საჯარო სამკითხ. ივანე ბატონიშვ. წიგნსაცავი № 337), შემდეგ მე XVII. საუკუნის საბეგროს სია ბიქვინტის კათოლიკოზისა (საქ. სიძვ. I, 59), ამავე საუკუნის ნუსხა საკათალიკოზო საბეგროსი (ibid. I, 61), 1785 წლის ღალის სია (საეკლესიო მუზ. კატალ. გუჯი. № 735), ხოდაშნელთა კულუხის ნუსხა 1789 წ. (ibid № 739), დასასრულ, ნუსხა ნათლის ღების შემოსავლის, შედგენილი ზირაქ ბერის მიერ (ibid. № 201). დიდძალმა მეფეთა და კათოლიკოზთა სიგელ-გუჯრებმა, ეპისკოპოსთა და მონასტრის მამასახლისების განაჩენის წერილებმა მოაღწიეს ჩვენამდის რომლებშიაც განსაზღვრული და დაწესებულია იმ სარგოს და გადასახადის რაოდენობა, რომელიც სამეფოს თვითოეულ კუთხის მეკომურისაგან უნდა აეკრიბნათ. გადასახადის ზოგადი რაოდენობა ვახტანგ მეფის „დასტურ-ლამლ“-შიაც არის, რისაკვირველია, მოხსენებული (იხ. გვ 44).

მორიგი ჯარის ნუსხები, რამდენადაც მე ვიცი, ჯერ მხოლოდ ოთხია ნაპოვნი: 1774 წლის ნუსხა მორიგეთა ხევის გაიბორტიდან (საქართ. სიძვ. I, 198), 1789 წლის ნუსხა ჯარში წასასვლელ კაცების ხატის სოფლიდან (ibid, I, 308), 1798 წლის კახეთიდან გამოწვეულ მორიგთა ნუსხა (იხ. ბეტ. საჯარო წიგნსაცავი ხელთ. № 26, წერ. 19) და სია მეთოფურთა (საეკლ. მუზ. კატალ. № 848). ამას უნდა დავუმატოთ კიდევ, რომ მორიგი ჯარის შესახებ რამდენიმე ზოგად განაჩენმა მოაღწია ჩვენამდე, ერთი მათგანი დაბეჭდილია კიდეც (საქ. სიძვ. I, 187).

ამ სიმის გარდა, რომელზედაც ზემოთა გვქონდა ლაპარაკი, კიდევ 8 სალხის აღწერის დაგთარმა მოაღწია ჩვენამდის: ალავერდის ყმათა სია (იხ. საეკლ. მუზ. კატ. № 571), წ-ა გიორგის ეკკლესიის ყმათა მუღალოელთა ყმათა სია (ibid. № 588), გორიჯვრის ყმათა სია (ibid. № 610), 1776 წლის ანანურის ყმათა სია (ibid. № 701), ამის გარდა აქ შეიძლება დავასახელოთ კიდევ სია მეფის კარის მოხელეთა (Ibid. № 763) და 1773 წელს შედგენილი სია მეითალმან მამულებისა (ibid. № 360).— ცნობები საქართველოში დრო გამოშვებით ხალხის აღწერის შესახებ მე-XIII-ე საუკუნიდანვე იწყობა, ეს აღწერა უძველესი საქართველოს მკვიდრთა აღწერაა, რამდენადაც ჩვენამდის ცნობამ მოაღწია, და, როგორც „ქართლის ცხოვრება“ გადმოგვცეს, მონგოლების ბატონობის დროს მოხდა. ქართლის ცხოვრების გარდა ამ აღწერის შესახებ სომეხ ისტორიკოსის სტეფანოს ორბელიანის თხზულებაში *Ստեփաննոս Օրբելեան։ Պատմութիւն Սիւնեաց* II, ცნობებსა ვპოულობთ; აქ ამ აღწერის თარიღიც-კია მოხსენებული, ამ გვარად ორი ერთი მეორისაგან დამოუკიდებელი წყარო ამტკიცებს, რომ საქართველოში 1254 წელს ვეზირმა, არრომელიც ტფილისში იჯდა, საქართველოს მკვიდრნი და მათი ქონება აღწერა.

ამის გარდა ერთ ქართულად ნაწერ საბუთში, რომელიც საქართველოს მცხოვრებთა შესახებ სტატისტიკურ ცნობებს შეიცავს, 1760 წლის თარიღი უზის და მოსკოვის გარეშე

საქმეთა სამინისტროს წიგნ-საცავშია შენახული (**Цагарели. Жур. Мин. Нор. прос. 1883 янв.**), ხალხის აღწერის დავთრიდან ამოკრებილი სტატისტიკური ცნობებია შეტანილი. ტფილისის მსაჯულთა 1775 წლის განაჩენიდანა ჩანს, რომ ერეკლე მეფეს ამ დროს ახლო ხანში ქ. ტფილისის, და იქნებ სხვებისაც, აღწერა უბძანებია. მე მოვიყვან ამ განაჩენიდამ იმ ნაწილს, რომელშიაც იმის შესახებაა ნათქვამი: „ჩვენ მსაჯულებს ორივ მოწინააღმდეგეს თითოეულმა მოწმემ თავისი ჩვენება წარმოგვიდგინა; ავაქას მოწმები აშკარად ტყუოდნენ: როდესაც **ჩვენ მეფის ბრძანებით ქალაქ ტფილისის მცხოვრებნი აგწერეთ და მულს გვმებდით**, მაშინ ფეიქარი ავაქა ორბელიანის ყმად ჩაეწერა და მოწმეებმა იმის უარყოფა ვერ იკისრეს. ცხადია, — ის რომ ორბელიანის ყმა არ ყოფილიყო, არც იმის ყმების (სიაში) ჩაეწერებოდა (**Пурцеладзе, Крас. грам.**). ტფილისის და მის მიდამოების აღწერა, დასასრულ, აკრეთეე 1799 წელს მომხდარა, როგორც სჩანს მდივან-მწიგნობრის განცხადებიდან, რომელიც ამბობს „მეფის ბრძანებით, მე, პანტელაშვილს, უნდა ტფილისი და მისი მიდამოები აღმეწერა. მე მარტო ტფილისის აღწერა მოვასწარ. აღწერას დაესწრნენ არუთინ დოლბანდელი და ბალდასარ თამამშიშვილი (**Пурц. Крест. Грам. 72**).

ეხლა სამ ზემოაღნიშნულ ხალხის აღწერის დავთრის განხილვას შევუდგეთ: ერთს მათგანს, სახელდობრ იმას, რომელიც ბ. თაყაიშვილსა აქვს, 1721 წლის თარიღი უზის, ორი უკანასკნელი, ჩემი გადაწერილები უთარიღონი არიან; პირველი დავთარი წიგნად არის შეკრული და მგონი სამეფო დავთარხანაში უნდა ყოფილიყო შენახული, იმიტომ რომ, ამ წიგნს ყდაზე ბეჭდები აზის. აღწერა ასე იწყობა: „აღწერა მეწინავე დროშისა საბარათაშვილოსა და სომხეთისა“ მერე ვახტანგის გემოვნებაზე დაწერილი წინასიტყვაობა არის, რომელშიაც ფრიად საყურადღებო ცნობებსა ვპოულობთ. ვახტანგ მეფემ, ნათქვამია იქ, „ბძანა აღწერა თვითოეულად, თვინიერ კავკაზთა: ოვსთა და დვალთა და უჩინნა სხვათა კიდეთა სხვანი სარდალნი და მწიგნობარნი. ხოლო აღწერა მეწინავე დრო-

შის საბარათიშვილოსა და სომხეთისა უბძანა ძესა ივისსა ბატონიშვილს სარდალს ვახუშტის და თანახლება ჩვენ უნარ-ჩევესის მონის მდ(ი)კან მწიგნობრის თუმანიშვილის გივისა... აღვწერეთ ამა დავთართა შინა, რომელთა ძალედვა აბჯართა და ცხენთა კმარებანი, გინა სამეფოთა ხარკთა და ბეგარათა გამოღებანი, ხოლო რომელთა არა ძალედვის ყოველისა რასა-მეს ქმნა და გამოღება, განუტევეთ და არა აღვწერეთ წიგნსა ამასა შინა"... (1721 წ. დავთრის წინასიტყ.) მეორე (საჯარო ბეტ. წიგნ. ბატონ. იონეს ხელთნ. № 338) ხალხის აღწერის დავთარი, ქაღალდის გრაგნილია, სიგანით $2^1/_2$ ვერშ. (0,055 საჟ.) და სიგძით 7,39 საჟ. თავი აკლია, მოგლეჯილი აქვს და თარიღი, როგორც ვთქვი, არ არის აღნიშნული, მაგრამ რაკი ამ დავთარში თამაზ სარდალია („თამაზ სარდლის ნასყიდი") მოხსენებული, შეიძლება დანამდვილებით დავასკვნათ, რომ ეს აღწერა უნდა მოეხდინათ 1689-ისა და 1718 წლების განმავ-ლობაში. 1689 წელს თამაზს ნაზარალიხანისაგან სარდლობა ებოძა (Пурцеладзе. Двор. Грам. 10), 1718 წელს კი შაჰნა-ვაზმა ის სახასო სოფლების ყაიყული, ყაზანჩა და გოლის ბო-ლოს მოურავად და სახლთხუცესად დანიშნა (Пурцел. Двор. Грам. 15),—ამ გვარად, აღწერა რომ 1689 წლამდის ყოფი-ლიყო **თამაზი სარდლად არ აქნებოდა** ჩაწერილი, ხოლო 1718 წლის შემდეგ რომ აღეწერათ საბარათიანო, მაშინ **თამაზი სახლთხუცესად უნდა ეოფილიყო მოხსენებული.**

მესამე აღწერაც (№ 336) ქაღალდის გრაგნილია, უთა-რიღო, სიგანით 5 ვერშ. (0,093 საჟ.) სიგძე 14 საჟ. მე ვერ გამოვარკვიე დაახლოვებით, როდის არის შედგენილი ეს დავ-თარი, იმიტომ, რომ მაში არ მოიპოვება ისეთი ცხადი ნიშ-ნები რომლის ძალით შეიძლებოდეს დროს განსაზღვრა. მა-ინც ეს დავთარი უნდა ან მე XVII-ე საუკუნეს ეკუთვნოდეს, ან მე XVIII-ეს.

ეს სამი საბუთი—საბარათისანოს და ხომხეთის **დროშის** ხალხის აღწერის დავთარია, იმ ადგილების აღწერაა, **რომელ-ნიც** ეხლა ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრის ერთ **ნაწილს**

შეადგენს და სადაც უმეტესად სომხები და თათრები ბინადრობენ. საქართველო მართვა-გამგეობის დაგვარად რამდენიმე სადროშოდ იყო დაყოფილი და აღწერის თვითოეული დავთრებიც სწორედ ამ ადმინისტრატიულ ნაწილის-დროშის მცხოვრებთა აღრიცხვას შეიცავს.

ვახტანგ მეფის „დასტურ ლამალი," ერეკლე I-ის და როსტომ მეფის სიგელები გვიჩვენებენ, რომ თვითოეულ დროშის აღსაწერად უნდა სარდალი, როგორც უმთავრესი ზედამხედველი, და მდივან-მწიგნობარი წასულიყვნენ როგორც მეფე ნაზარალიხანის სიგელიდან ჩანს, ხალხი საქართველოს მშვიდობიანობის დროს 7 წელიწადში ერთხელ უნდა აეწერათ, ხოლო ვახტანგ მეფის „დასტურლამალი" გვიჩვენებს, რომ ტფილისი და მგონი სხვა ქალაქებიც იმავე დროის განმავლობაში უნდა აეწერათ ხოლმე, როდესაც სადროშოები (დასტურლამალი 86), მხოლოდ ტეხნიკური განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ ქალაქში ყოველ აღწერის დროს მეფე თითონ ნიშნავდა ხოლმე „მდივან-მწიგნობარ"-ს (ibid, 86): ეს იმ ორ საბუთითაც მტკიცდება, რომლის ნაწყვეტები ჩვენ ზემოდ მოვიყვანეთ. როგორც სადროშოში, ისევე ქალაქად მცხოვრებთ „ილსამწერლო" ფულს ართმევდნენ (დასტურლ. 12, 14, 86).

აღწერის დავთრების შესწავლამ დამარწმუნა, რომ „მდივან-მწიგნობარ"-ნა განსაკუთრებით ფეოდალურ პრინციპით ხელმძღვანელობდნენ, ესე იგი ისინი მარტო იმას კი არ აქცევდნენ ყურადღებას, თუ ვინ სად ბინადრობდა და იმეფებდა, არამედ იმას, ვინ რამელ მებატონის ყმა იყო, ვინ რამელს ეკუთვნოდა, — მოვიყვან მაგალითს: დავთარში ჯერ აღნიშნულია მებატონის სახელი და გვარი, მაგ. „ამილახორისა" შემდეგ სწერია ყველა იმ სოფლების სახელები, რომლებშიაც ამ ამილახვარს ყმები მოეპოვება, მაგალითად „თელეთს" —ჩამოთვლილია ამილახორის ყმების გვარი და სახელები, — „მთლევანს" აგრედვე იმის ყმებია ჩამოთვლილი (იხ. 1721 წ. დავთარი გვ. 26, 27.), ან კიდევ „ციციშვილის სახლთხუცის

ედიშერის მწყენეთს“ — იმის ყმების გვარი და სახელები, „რეხას“ — ყმების გვარი და სახელები, „საპონაურს“ — ყმების ნუსხა, „ცხოირეთს“ — ყმების სია და სხვა. (ibid. 29, 30). **ეოგელთგის, როცა როჩელიჩე მებატონის ყმათა სია თავდება ხოლჩე ბოლოში მოუგანილია იმ მებატონის ყმათა ჯაჩი**, მაგალითად „ჯამი იქნა ბატონის მეფის სახასო კომლი ას სამოცდა შვიდი, ბოგანო ოცდა ცამეტი (1721 წ. დავთ. 11), ან კიდევ **ჯ'ი როსებისა** (იარალაშვილისა): კომლი ორმოცდა ხუთი, ბოგანო თორმეტი“ (ibid. 65). მე XVII—XVIII-ე საუკ. აღწერის დავთარში, რომელიც პეტერბ. საჯარო სამკითხველოშია შენახული, მებატონის ყმათა ჯამი თითოეულ სოფელში ცალ-ცალკეა მოყანილი, და არა ერთად. **დავთარშა

(კომლია) (1) თავი გ (3)... პაპანაშვილი მურდანანა კ[ო]ი ა თავი ე (5)" (იხ. № 336) და სხვა.

დავთარში აღნიშნულია აგრეთვე ქონებრივი მდგომარეობა, მაგ. „ბოგანო (უვენახო გლეხი) ასატურა," „ბოგანო ბაინდურა" (1721 წ. დავთ. 28) „ბოგანო პაპუა" (29), ან კიდევ—„ძეძენარში ჯალუაშვილი პაპუა, ჯალუაშვილი როსტომა, მამუკა თევდორაშვილი—ეს **სამნივ ერთს საკომლოზედ სახლობენ**" (№ 338), „**აქაც გარეკარის სამეხრე მიწა სამოცი დღის**," „**აქაც თავუთის სამეხრეო მიწა სამოცი დღის**" № 336) და სხვა.—**წოდებრივი ხარისხი**, მაგალითად „**აზნაურშვილი** ყაითმაზაშვილი" „**აზნაურშვილი** გიორგი ტაველაშვილი" (№ 338), ზვიკიძე **ხუცესი** (1721 წ დავთ. 19) „**ტერტერა**" (თითქმის ყოველთვის სახელი არ არის ხოლმე მოხსენიებული), „**ხუცესი** მახარობელი" (ibid. 25) და სხვა.

ამის გარდა აღნიშნულია ხოლმე დავთრებში: ხელობა, მაგ. „**მჭედელი** მიქელა" (ibid. 32), „მჭედელი გიუა" (33), „დურგალი ალიბეგა" (68), „ქვის მთლელი ევანეზ" (5) და სხვა.

ოჯახობრივი მდგომარეობა, მაგ. „ქვრივი" (თითქმის ყოველთვის უსახელოდ), „ობოლი" (ამ შემთხვევაშიაც სახელი და გვარი არ არის ხოლმე მოხსენებული).

დავთარში ჩაწერილია ნასყიდობაც, მაგ. „არის ასლანაშვილის **ნასყიდობა**... „სარდლის ლუარსაბის **ნასყიდი** თაფრაყალს" (მოყვანილია ნასყიდ ყმათა სია)... „ქაიხოსროს ნასყიდი თოფრაყალას" (მოყვანილია სია) (იხ. № 338), „როინის **მოსყიდული** ესტატე" (1721 წ. დავთ 44) და სხვა.

დავთარში აყრილებისა და ამოვარდნილების შესახებაც მოყვანილია ხოლმე ცნობები, მაგ. „ელფიას:. ესტატეშვილი თამაზა... **აქაც აყრილი არი**" (1721 წ. დავ. 53), „წინ ვენახს: **ამოვარდნილი ა**" (ibid.), ან კიდევ „იქმნა... **მსახლობარი სოფელი** თექვსმეტი, **აყრილი სოფელი** ხუთი" (№ 338), ხშირად ისიც კია ხოლმე **მოხსენებული**, თუ **როდის აყრილან ან გადასახლებულან მცხოვრებნი**, მაგ. „ხანზადას **სოფელი ზურო**-

ლის დიდიხნისა", „ჩახმახლუ სულ აყრილი არის, ახლა აყრილა" (№ 338). დასასრულ, როდესაც დავთარში თვითოეულ ხეობის, ან თემის აღწერა თავდება ხოლმე ბოლოს ყოველთვის მცხოვრებთა და სოფლების საზოგადო ჯამის ხოლმე მოყვანილი, მაგ.

„იქმნა: **სრული**: ამასი: ჯამი: მსახლობარი: სოფელი: კ̃ზ: ოხერი: სოფელი: ჰ̃: სახასო: მსახლობარი: კომლი: რ[ი]თ; ბოგანო: ი:

სახასო: აყრილი: კომლი: იზ: („ი" აქ „ო" ის მაგიერ უნდა იყოს აზნაურშვილის: ყმა: მსახლობარი: ი̃ე: აზნაურშვილის: ყმა: აყრილი: ̃გ: ბოგანო: ̃დ:

იქნა ერდმირად: მოსახლე: კომლი: ას ოცდა: თოთხმეტი(?), ბოგანო: ი̃დ: აყრილი: ოთხმოცი: (№ 338).

ამ გვარი ძვირფასი ცნობები ბლომად მოიპოვება ზემოხსენებულ მეკომურთა აღწერის დავთრებში და უნებლიედ იპყრობს კითხვის დროს ადამიანის ყურადღებას, მაგრამ ზოგი ცხოვრების მოვლენა ისე ცხადად და თვალსაჩინოდ არის აღნიშნული, რომ მკვლევარს კითხვის დროს გარკვეული შთაბეჭდილება რჩება და დასკვნის გამოყვანა იმ მოვლენის შესახებ ადვილია, ზოგ მოვლენის ასახსნელად კი ხანგრძლივი დაკვირვება და შესწავლაა საჭირო და მათი გაგება ადვილი არაა.

პირველი საინტერესო და დიდ მნიშვნელოვანი საკითხი საბათიანოსა და სომხეთის სადროშოში მამულის მფლობელობის ხასიათია. 1689 — 1718 წ. და 1721 წ. აღწერის დავთრებიდანა ჩანს, რომ აქეთკენ ყველაზე დიდ მებატონედ უნდა მეფე და მეფის სახლობა ჩაითვალოს. მაგალითად 1689—1718 წ. დავთრით ერთ ადგილას სახასო (სამეფო) ყმა 110 კომლი და 10 ბოგანო იყო, აზნაურების ყმა კი მხოლოდ 15 კომლი და 4 ბოგანო; მეორე ადგილას 57 კომლი 16 ბოგანო სახასო და აზნაურების ყმა მარტო 20 კომლი და 3 ბოგანო (№ 338). 1721 წ. დავთრით მარტო მეფეს 155 კომლი და 33 ბოგანო ჰყავდა, ამილახვარ გოსტაშაბიშვილს-კი, ერთ უძლავ-

რესს აქაურს მებატონეს, 76 კომლი და 21 ბოგანო ეკუთნოდა მხოლოდ (იხ. 1721 წ. დავთ. 57). ამილახვრის გარდა აქეთკენ მოიპოვებოდა კიდევ ორიოდ შეძლებული მებატონე, საზოგადოთ-კი, რამდენადაც მე მოვასწარ ამ დავთრების შესწავლა, საბარათიანოს და სომხეთის სადროშოში უფრო წვირილ ქონების მეპატრონეები ყოფილან: 20 კომლის, ათის, 5 ის, ორი კომლის პატრონებსაც კი ძალიან ხშირად შეხვდებით. 1721 წელს არც თვით ამილახვარ გივი სტაშაბიშვილსა ჰყოლია ძალიან ბევრი ყმები. 1713 წელს ძმები გოსტაშაბიშვილები გაიყარნენ და მამული და ყმები გაიყვეს; ამათ გაყრილობის წიგნმა ჩვენამდის მოაღწია და ბ. თაყაიშვილის მიერ გამოცემულ საქართველოს სიძველე"-შია დაბეჭდილი. გაყრილობის წიგნიდან ჩანს, რომ ამილახვარს წილად 74 კომლამდე რგებია. ხოლო გაყრის შემდეგ ყოველ ღონის-ძიებას ხმარობდა, ყოველ შემთხვევით სარგებლობდა, რომ თავის მამულისათვის ხან ყიდვით, ხან მეფის წყალობით რამე მიემატებინა; მარტო ამ საბუთებიდანაც კი, რომელიც ბ. თაყაიშვილმა დაბეჭდა, ჩანს, რომ ამილახვარმა გაყრის შემდეგ (1721 წ.) 1736 წლამდე 15 ახალი მამული მიუმატა თავისას. გაჭირება და სიღატაკე აიძულებდა ხოლმე ღარიბ მეპატრონეს მიეყიდნა თავისი ქონება მძლავრ და მდიდარ ამილახვარისათვის, რომლის შთამომავალნი გახდნენ საქართველოს უძლიერეს შეძლებულ მემამულეებად.

ეს ცნობები ცხადად გვიჩვენებს, რომ ხალხი თავის მიწა-წყალს სტოვებდა და თითქოს თავზარ-დაცემული გარბოდა მეწინავე დროშიდან—მაგრამ იმ საკითხზე, თუ საით მირბოდა და სადა პოულობდა თავშესაფარს ამდენი ხალხი ჯერ ჯერობით მხოლოდ სათუო პასუხის მოცემა შეგვიძლიან. საქართველოს სამეფოს სამხრეთ მაზრებიდან ხალხის მოძრაობა და აყრა ჩვენ მონგოლების ბატონობის დროიდან, მე XIII—XIV ე საუკუნიდანვე შეგვიძლიან აღვნიშნოთ: ეს ჩანს ერთ სპარსულ წარწერიდან, რომელიც ქ. ანშია შენახული (იხ. [illegible], გვ. 56). ამ წარწერის ავტორი მცხოვრებთა აყრის მიზეზად ხარჯ-გადასახადის სიმძიმესა სთვლის. მე XVII—XVIII-ე სა-

უკუნეს კი, მგონია, ამ ადგილებიდან მცხოვრებთა აყრის უმთავრესს მიზეზად უნდა ის გარემოება ჩაითვალოს, რომ მტრის შემოსევის დროს პირველად საბარათიანოს და სომხეთის დროშა იგრძნობდა ხოლმე მოწინააღმდეგეთა ძალმომრეობასა და მრისხანებას, თავ-დასხმის საზარელ შედეგს—სახლ-კარის გათხრებასა და დანგრევასა,—თითქმის ვერც ერთი საქართველოს მტერი ვერ ასცილდებოდა საბარათიანოს გზას, აკი ამიტომაც ერქვა ჩვენებურად ამ მხარეს „მეწინავე დროშა“-ის სახელი. მუდმივ მტრის თავ-დასხმასა და ქვეყნის განადგურებას ყოველთვის სურსათ-სანოვაგის სიძვირე, ხშირად შიმშილიც კი თან ახლავს ხოლმე; ერთ საბუთში, რომელიც 1672 წელს არის დაწერილი, ბლეხი ჯანია და მისი შვილი ზურაბი ამბობენ, „სილარიბემ და შიმშილმა ისე დაგვაძლურაო, რომ ჩვენ დალუპის მეტი არა დაგვრჩენოდარა, ძნელი დრო იყო ჩვენი დრო; პური ისე გაძვირდა, რომ კოდი ხორბალი მარჩილად იყიდებოდა“ (Цурцеладзе, крест. грам. 6)

ეს აუარებელი მცხოვრებთა აყრა-გადასახლება, ამდენ მეკომურთა მოძრაობა საბარათიანოსა და სომხეთის სადროშოდან განსაკუთრებით მრისხანე შაჰავაზის საქართველოში შემოსევის დროიდან უნდა დაწყებულიყო და, რა თქმა უნდა, შემდეგაც ხომ არ შეწყდებოდა. ამ გვარად ამ მე-XVII—XVIII-ე (1689—1718 წ.) საუკუნ. ხალხის აღწერას დაგთარს შეუმჯობა თვალსაჩინოდ დაგვისურათებს, თუ რა გვალს სტოგებდა ხალხმე საქართველოში ამ გვარი მტრის შემოსევა. საბარათიანოს და სომხეთის სადროშოდან აყრილი ხალხი უეჭველია ქართლსა და კახეთს დასახლდებოდნენ, იმიტომ რომ იქ უფრო მშვიდობიანობა იყო და მტრის შემოსევისაგან მაინც უფრო მეტად იყო დაცული ხალხი.

მე მინდა კიდევ ერთი საყურადღებო მოვლენა აღვნიშნო, მით უმეტეს რომ ჩვენ მწერლობაში ამ საგანზე, რამდენადაც მახსოვს, არაფერი თქმულა: 1689—1718 წ. დავთრიდანა სჩანს, რომ საქართველოში, რაგორც ბლეხის გაყიდვა შეიძლებოდა, ისე აზნაურისაც, მაგალითად დავთარში სწერია: სარდლის

ლუარსაბის ნასყიდობა თოფრაყალას **აზნაურშვილი** გიორგი ტაველაშვილი“... ან კიდევ იქნა **ნასყიდობის ჯამი აზნაურშვილი კომლი ´გ,** გლეხი კ´ა“... და სხვა.

ამ გვარი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ზემო აღნიშნულ დავთრების გადაშინჯვამ, ამ გვარი დასკვნა გამოვიყვანე ამ მასალების შესწავლის დროს.

ეხლა მე ორიოდე სიტყვა უნდა მოგახსენოთ იმის შესახებ, თუ რისთვის და რა მიზეზით ადგენდნენ ხოლმე ამ ხალხის აღწერის დავთრებს საქართველოში და რა მნიშვნელობა აქვთ მათ ჩვენთვის ამ ჟამად.

მოვიგონოთ საპარათიანოს დროშის „მდივან-მწიგნობარი“-ს გივი თუმანიშვილის მოხსენება იმის შესახებ, თუ ვინ „აღწერა ამა დავთარში“ და მაშინ ადვილად მიხვდებით, რა მიზეზით ადგენდნენ ჩვენში აღწერის დავთრებს. თუმანიშვილი ამბობს: **აღვწერე ამა დავთართა შინა, რომელთა მალედგა აბჯართა და ცხენთა კმარებანა, გინა სამეფოთა ხარკთა და ბეგართა გამოღებანი,** ხოლო რომელთა არა ძალ ედვას ყოვლისა რასამესი ქმნა და გამოღება, განუტევეთ და არა დავწერეთ ამა წიგნთა შინა“... (1721 წ. დავთ. წინასიტყ.) ცხადია, რომ ამ დროს საქართველოში მთავრობა ორ საგანზე ფიქრობდა: სამხედროსა და საბეგროსაზე, ესე იგი **აღწერის დროს მართველობას უნდოდა გაეგო, რამდენი კაცის გამოყვანა შეუძლიან მას ომიანობის დროს და რამდენს კომურს ძალუძს სახელმწიფო გადასახადის გამოღება.**

მაგრამ ცხოვრებაში ხომ ამ საბუთებს უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდათ: **ამ დავთრებსა ხმარობდნენ ხოლმე ჩვენ სამეფოს მთავარი მოხელენი, რომ სახელმწიფო შემოსავლის საგარაუდო ჯამი (предварительная смета) გამოეანგარიშებინათ,** როგორც ეს მეფე ვახტანგის „დასტურლამალი“-დან ჩანს, სადაც ნათქვამია: **„კოდის პურისა, თუ აღწერამდის სად რამდენი გამოვა“...** (დასტურ. 44, 60) და სადაც პურის შემოსავლის რაოდენობის ვარაუდით გამოანგარიშებასათვის მოყვანილია სტატისტიკური ცნობები იმ ადგილების მცხოვრებთა შესახებ, რომლებიდანაც უნდა „კოდის პური“ შემოსულიყო.

ხალხის აღწერის დავთრებს ხმარობდნენ აგრეთვე სასამართლოებში დავის გარჩევის დროს: ეს მტკიცდება ტფილისის იმ მოსამართლეთა განაჩენით, რომელთაც ფეიქარი ავაქა ორბელიანის ყმად ჩასთვალეს მხოლოდ იმის გამო, რომ ავაქა ტფილისის აღწერის დროს დავთარში ორბელიანის ყმად ჩაეწერა (Пурцеладзе, крест. грам. 27, შეად. ვახტანგის კანონების მე-199-ე მუხლი).

აქამდისინ იმის შესახებ იყო ლაპარაკი, თუ რა მიზნით აღგენდნენ ჩვენში ხალხის აღწერის დავთრებს და რა მნიშვნელობა ჰქონდათ მათ წინად. ეხლა ამ დავთრებს უფრო მეტი ფასი ეძლევა იმ საყურადღებო და განსაკუთრებულ ცნობების გამო, რომელნიც მათში მოიპოვება მცხოვრებთა ქონებრივ, წოდებრივ და საოჯახო მდგომარეობისა, აღებ-მიცემობისა და აყრა-გადასახლების შესახებ.

შემდეგ, როდესაც ქართლისა, კახეთისა და დანარჩენ სადროშოების როგორც ხალხის აღწერის, ისე შემოსავლის დავთრებს ვიპოვით და გამოვაქვეყნებთ, შეიძლება დაახლოვებით მაინც გამოვარკვიოთ საქართველოს სამეფოს მცხოვრებთა რიცხვი, მოსახლეობის სახშირე და საკომლო გადასახადის რაოდენობა. რასაკვირველია, რომ ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიის და საქართველოს სამეფოში მცხოვრებ სხვა და სხვა ერთა ბინადრობის შესასწავლელად ამ დავთრებს უმთავრესი მნიშვნელობა ექნებათ.

დასასრულ ვერა წარმოგვიდგენს რა ისე ცხადად და ცხოვლად აოხრებასა და განადგურებასა საბარათიანოს და სომხეთის დროშისას, რომელსაც, როგორც „მეწინავეს," მტრისათვის გზა უნდა შეეკრა და სამშობლო შემოსევისაგან დაეცვა, როგორც ეს ზემო აღნიშნული დავთრები: როდესაც ამ საბუთების მკვიდრთა აყრილობის შესახებ საბუთებს შეისწავლით, ადვილად მიხვდებით მაშინ, თუ რაში მდგომარეობდა საქართველოს სამეფოს უძლურება მე XVII-ე და მე-XVIII-ე საუკუნოებშია მაშინ კი გაიგებთ, როგორ ბედავდა ხოლმე მტერი ისე ადვილად და თამამად საქართველოში შემოსევასა და ფარფაშობას.

ხოლო ის გარემოება, რომ საქართველოში ხალხის აღწერისა და შემოსავლის დავთრები და მრავალი სხვა ამ გვარი საბუთები არსებობდა, ბრწყინვალედ არღვევს იმ პირველ საქართველოს მთავარ-მართებელთაგან გავრცელებულს აზრს, ვითომც საქართველოში ყველა საქმეებს სიტყვიერად აწარმოებდნენ, ან ვითომ ჩვენის მთავრობისა და მის მოხელეთა თავგასულობას და თვით-ნებობას არა ჰქონოდეს საზღვარი...*)

ივ. ჯავახიშვილი

$19\frac{22}{II}01$ წ.

---

*) უმორჩილესად ვთხოვთ ყველას, ვისაც კი ამ შემოსავლის ან ხალხის აღწერის დავთრები ან მორიგი ჯარის ნუსხები აქვთ, დროებით მაინც გადასცენ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ან ბ-ნ ე. თაყაიშვილის სახელობაზე, ან ჩემს სახელობაზე.

ი. ჯ.